ავტობიოგრაფია

მე, მელიტონ ზურაბის-ძე ბენიძე, დავიბადე 1975 წლის 11 ივნისს ქ.ქუთაისში. 1992 წელს დავამთავრე ქ.წყალტუბოს N4 (რუსული) საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის (ამჟამად ქუთაისის უნივერსიტეტი) იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით, რომელიც დავამთავრე 1997 წელს და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1997-1998 წლებში ვიმსახურე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 2002 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და მუშაობა დავიწყე საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის ქ.წყალტუბოს რაიონულ ადვოკატურაში ადვოკატად. 2003 წელს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. იმავე წელს წარმატებით გავიარე ადვოკატთა საერთო ტესტირება და 2005 წლიდან გავხდი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2005 წელს ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ხოლო 2006 წელს მოსამართლეთა საერთო საკვალიფიკაციო გამოცდა. 2005 წლის 1 ივლისიდან მუშაობა დავიწყე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის (ამჟამად სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური) თბილისის ტერიტორიულ ბიუროში ადვოკატად. 2007-2008 წლებში ვმუშაობდი იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს უფროსად, ხოლო 2008-2011 წლებში ამავე სამსახურის აპარატში მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტად. 2012 წელს დავინიშნე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად , ხოლო 2014 წლის 24 თებერვლიდან იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით 5 წლით არჩეული ვიყავი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორად. აღნიშნულ თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადა ამომეწურა 2019 წლის 24 თებერვალს. 2009-2011წლებში ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესის მიმართულების მოწვეულ პედაგოგად და იურიდიული კლინიკის მობილური პრაქტიკის ცენტრის კოორდინატორად. 2012 წლიდან 2019 წლის მარტამდე ვიყავი სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო ხუთი სხვადასხვა საბჭოს წევრი სისხლის სამართლის რეფორმის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ადამიანთა წამების, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელების, ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის მიმართულებით. 2008-2018 წლებში ვიყავი 20-მდე კონფერენციისა და

სამუშაო ჯგუფის მონაწილე, მათ შორის, როგორც ორგანიზატორი ან/და მომხსენებელი. 2006 წლიდან დღემდე ვარ მონაწილე 50-მდე ტრენინგისა და სემინარის, მათ შორის, როგორც ტრენერი. 2009 წელს გამოვაქვეყნე პუბლიკაცია თანაავტორობით: მ.ბენიძე, ი.ბოხაშვილი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები", ჟ."სამართლის ჟურნალი", 2009, N2, გვ. 35-62.

ვარ ამერიკის შერთებული შტატების გაცვლითი პროგრამების მონაწილე 2008 და 2016 წლებში. (2008 წ.-" ღია სამყარო"-ს პროფესიული პროგრამა, თემა: „აშშ-ის სასამართლო სისტემის სტრუქტურა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო". ჩატარების ადგილი: ვაშინგტონი, ატალანტა; 2016წ.-საერთაშორისო მოწვეულ ლიდერთა პროგრამა „სტუმრად ამერიკაში". თემა: „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა დაუცველი მოსახლეობისათვის". ჩატარების ადგილი: ვაშინგტონი, ნიუ-ორლეანი, კონკორდი, დენვერი, ბოსტონი).

ვარ დაქორწინებული, მყავს მეუღლე და 2 შვილი.

(მ . ბენიძე)

28.05.2019წ.